შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი **30 ივნისი, 2015 წელი**

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი სოლომონიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „საბა კონსტრაქშენ“ (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან თარგამაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ვინაიდან, შპს „საბა კონსტრაქშენ“ - თან 2015 წლის 13 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N8.7/10/293 ხელშეკრულებით *(ქ. თბილისში, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან, მრავალფუნქციური სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები)* გათვალისწინებული სამუშაოების დროულად დასრულებას ხელი შეუშალა დედაქალაქში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარმა სტიქიამ (მოვარდნილმა წყალმა წარეცხა ასფალტის საფარის დასაგებად გამზადებული და დატკეპნილი ტრანშეა), ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - შეთანხმდნენ:

1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადა გაიზარდოს 2015 წლის 7 ივლისის ჩათვლით.

2. მიმწოდებელი ვალდებულია შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხელშეკრულების 3.2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში წარადგინოს რედაქტირებული სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა - გრაფიკი.

3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიისა და წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გარანტიის ვადის გაგრძელება 2015 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის 2015 წლის 27 ივლისამდე წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შესახებ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში *(სამუშაოების დასრულების შემთხვევაში)*, მიმწოდებელი თავისუფლდება წინამდებარე შეთანხმების მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადაგაგრძელებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენისგან.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით.

საფუძველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 30 ივნისის N07/15167800-18 წერილი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 13 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N8.7/10/293 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კოდი: 204521794
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
გ. სოლომონია

მიმწოდებელი:
შპს ,,საბა კონსტრაქშენ“
ს/კოდი: 440886098
შპს „საბა კონსტრაქშენ“ - ის დირექტორი
ლ. თარგამაძე